ხაშურის მოამბე

№31(312) 12 ოქტომბერი, სამშაბათი, 2021 წელი

შრომამისჯიდი პირები ხაშურის მერიის შესაბამის სამსახურებში, სკვერებსა და ბაღებში დასაქმდებიან

იუსტიციის სამინისტრომ, არასაპატიმრო სასჯელის ეფექტიანი აღსრულების მიზნით, ახალი მიდგომა დანერგა. შესაბამისი მემორანდუმი რატი ბრეგაძემ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიასთან გააფორმა.

იუსტიციის სამინისტროს ახლებური მიდგომის შედეგად, მსჯავრდებულები ერთის მხრივ საკუთარ წვლილს შეიტანენ ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაში, ხოლო მეორეს მხრივ, საზოგადოების წინაშე მიყენებულ ზიანს აანაზღაურებენ.

მიმდინარე წელს, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები უკვე გაფორმდა ქუთაისის, ოზურგეთის, ბათუმის, ყვარლის, გურჯაანის, თელავის, სიღნაღის, ფოთის, ზუგდიდის და ბორჯომის მუნიციპალიტეტების მერიებთან, რის შედეგადაც, შრომამისჯილთა დასაქმებისთვის ახალი სივრცე გაჩნდა.

საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის ეფექტიანი აღსრულების მიზნით, შესაბამისი მემორანდუმები, ქვეყნის მასშტაბით, ყველა ქალაქთან და მუნიციპალიტეტთან გაფორმდება.

დაჯილდოვდნენ მუნიციპალიტეტის წარმატებული მასწავლებლები

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა ზვიად ქურდაძემ, ხაშურის საგანმანათლებლო რესურს ცენტრის ხელმძღვანელმა ზვიად გოგუაძემ, მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლებთან ერთად, მასწავლებლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტის წარმატებული მასწავლებლები დააჯილდოვეს.

მერიისგან სიმბოლური საჩუქრები მიიღო სამმა პედაგოგმა, რომელთაც ბოლო სასწავლო წლის განმავლობაში პროფესიულ, შემოქმედებით საქმიანობასა და მომავალი თაობის აღზრდაში განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწიეს. კერძოდ, ხაშურის პირველი საჯარო სკოლის დირექტორსა და ამავე სკოლის სამოქალაქო განათლების მასწავლებელ მორის დანდურიშვილს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის გადაწყვეტილებით ზოგად განათლებაში განსაკუთრებული დამსახურებისთვის მენტორი მასწავლებლის სტატუსი მიენიჭა; ხაშურის მეშვიდე საჯარო სკოლის პედაგოგ ლიანა მეტივიშვილს, USAID საბაზისო განათლების პროგრამის ფარგლებში, შიდა ქართლის რეგიონის დაწყებითი კლასების კითხვის საუკეთესო მასწავლებლის წოდება გადაეცა. საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება მიენიჭა ხაშურის მეორე საჯარო

სკოლის ღვაწლმოსილ პედაგოგს - ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელ მაყვალა შუბითიძეს, რომელსაც ტიტულის აღსანიშნავი მედალი და სერტიფიკატი საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელმა ზვიად გოგუაძემ გადასცა.

მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა ზვიად ქურდაძემ მიულოცა პედაგოგებს პროფესიული დღე და აღნიშნა, რომ მათი ღვაწლი მომავალი თაობების აღზრდის საქმეში უმნიშვნელოვანესია.

წარმატებული პედაგოგების დაჯილდოების ცერემონია მუნიციპალიტეტში ყოველწლიურად იმართება.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში სასწავლო პროცესი კოვიდრეგულაციების სრული დაცვით ხორციელდება

4 ოქტომბერს, სასწავლო პროცესი, მთელი ქვეყნის მასშტაბით, დისტანციური რეჟიმიდან, საკლასო ოთახებში გაგრძელდა. მიზეზი, ისევ ეპიდ. სიტუაციაა, რომელმაც ორი წელია, თვდაყირა დააყენა განათლების სისტემა. წელსაც, არსებობდა ვარაუდი, რომ შეიძლებოდა, სწავლა, ისევ დისტანციურ რეჟიმ ი წარმართულიყო, თუმცა, განათლების სამინისტრომ სრული მზადყოფნა გამოაცხადა და სწავლაც განსაკუთრებულ პირობებში გაგრძელდა. გამონაკლისი, არც ხაშურის სკოლებია. თუ როგორი მზაობით შეხვდა სასწავლო პროცესის დაწყებას ხაშურის სკოლები, ამაზე, ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, ზვიად გოგუაძე ისაუბრებს.

–2021 წლის 15 სექტემბრიდან, ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ 33 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სასწავლო პროცესი დისტანციურ რეჟიმში დაიწყო, გარდა პირველი კლასისა. 2021 წლის 4 ოქტომბრიდან კი, პირისპირ სწავლების რეჟიმში, საკლასო ოთახებში განახლდა სასწავლო პროცესი I-XII კლასის ყველა მოსწავლისათვის.

სასწავლო პროცესის საკლასო სივრცეში აღდგენამდე, რესურსცენტრის ორგანიზებით, ხაშურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ განხორციელდა "კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციაზე (COVID-19) სავალდებულო ტესტირებას დაქვემდებარებულ პრიორიტეტულ პირთა ნუსხისა და ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის №975 განკარგულებით გათვალისწინებული სავალდებულო ტესტირება საჯარო და კერძო სკოლაში დასაქმებული ყველა პირის მიმართ. აღსანიშნავია, რომ ხაშურის მუნიციპალიტეტში, მასწავლებელთა 86% აცრილია კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინით.

-რა საჭირო ღონისძიებები გატარდა სასწავლო პროცესის უსაფრთხოებისთვის?

(დასასრული II გვერდზე)

ხაშურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში სასწავლო პროცესი კოვიდრეგულაციების სრული დაცვით ხორციელდება

(დასასრული)

–2020-2021 სასწავლო წლის დასრულებისთანავე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დაიწყო მზადება ახალი სასწავლო წლის გამოწვევების საპასუხოდ: სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში, ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრმა ყველა სკოლას მიაწოდა საჭირო რაოდენობის დისტანციური თერმომეტრები, დეზობარიერები, დეზობარიერისთვის გასაზავებელი სითხეები, ხელის სადეზინფექციო ხსნარები, სადეზინფექციო ხსნარის დისპანსერები და სხვა საჭირო ინვენტარი.

ორგანიზებულად, სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში, მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში, რესურსცენტრმა ყველა სკოლას გადასცა საჭირო რაოდენობის სახელმძღვანელოები და რვეულები.

მუნიციპალიტეტის მერიის აქტიური ჩართულობით, 16 საჯარო სკოლაში დაუბრკოლებლად განახლდა მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამა.

ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისთვის, მასწავლებლებისა და მოსწავლეებისთვის გაიწერა პანდემიის პირობებში პრევენციული ღონისძიებების შესახებ ზოგადი რეკომენდაციები. რეკომენდაციები საკმაოდ მრავალრიცხოვანია, მაგალითისთვის შევეხები რამდენიმე მნიშვნელოვან რეკომენდაციას: სკოლებმა შეიმუშავეს პანდემიის პირობებში საგანგებო სიტუაციაში სამოქმედო გეგმა; თვალსაჩინო ადგილას განათავსეს ინფორმაცია COVID-19-ის პრევენციული ღონისძიებების შესახებ; დაწესებულების შესასვლელთან განათავსეს დეზობარიერი, სავალდებულო გამოყენების ნიშნის მითითებით; შესასვლელთან ახორციელებენ თერმოსკრინინგს, რათა გააკონტროლონ მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების, თანამშრომელთა და სკოლაში მომსვლელი ნებისმიერი ვიზიტორის ჯანმრთელობის მდგომარეობა, ტემპერატურის გაზომვით; თერმოსკრინინგის დროს დაფიქსირებული მაღალი ტემპერატურის ხელმეორედ გადამოწმების მიზნით, სკოლის შესასვლელში უზრუნველყვეს შესაბამისი მოსაცდელი სივრცის მოწყობა; ხელის დეზინფექციისათვის არანაკლებ 70%-იანი ალკოჰოლის შემცველი ანტისეპტიკური საშუალებების დისპენსერები განათავსეს დაწესებულების შესასვლელში, საერთო სარგებლობის სივრცეებთან (საიზოლაციო ოთახი, ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი, სამასწავლებლო, სასადილო და სხვ.), ნებისმიერი პირს შენობაში უშვებენ მხოლოდ პირბადით, დეზობარიერის გავლით, თერმოსკრინინგისა და ხელის ჰიგიენის ჩატარების შემდეგ; ყველა სკოლა უზრუნველყოფილია პირბადეების რეზერვით; სასწავლო ოთახები, ადმინისტრაციული სათავსები და საერთო სარგებლობის ფართები აღჭურვილია გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცებისა თუ სხვა ჰიგიენური ნარჩენებისთვის განკუთვნილი კონტეინერებით (დახურული კონტეინერებით, სატერფულით გახსნის შესაძლებლობით), რომლებშიც ჩაფენილია ერთჯერადი პოლიეთილენის პარკი. სანიტარიული წერტილების ი დასუფთავება ხდება ყოველი დასვენების შემდეგ;

აღსანიშნავია, რომ სკოლაში შემსვლელი ნებისმიერი პირი, მათ შორის I-XII კლასის მოსწავლეები ვალდებულნი არიან, რომ ატარონ პირბადე. პირბადის ტარების ვალდებულებისგან თავისუფლდება ის მოსწავლე, რომელსაც აქვს პირბადის ტარებისგან გასათავისუფლებად სათანადო სამედიცინო ჩვენება. ასევე, ის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლე, რომელიც კანონიერი წარმომადგენლის მოთხოვნის საფუძველზე სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე გათავისუფლებულია პირბადის ტარების ვალდებულებისგან.

- რაც შეეხება მოსწავლეებს, მათზე რა ვალდებულებები მოქმედებს?

განისაზღვრა მოსწავლის ვალდებულებებიც: დაიცვან ჰიგიენის წესები; დაიცვან სასწავლო დაწესებულების მიერ დადგენილი წესები; დაიმუშავონ ხელები სადეზინფექციო ხსნარით იმ შემთხვევაში, როცა ვერ ხერხდება ხელების დაბანა თხევადი საპნით და ერთჯერადი ხელსახოცით გაშრობა; დაიბანონ ხელები წყლითა და საპნით ხილული დაბინძურების შემთხვევაში ან ბიოლოგიური სითხეების მოხვედრისას; დახველებისა და დაცემინების დროს მიიფარონ სუფთა ხელსახოცი (რომელიც, ერთჯერადი გამოყენების შემდეგ, ექვემდებარება გადაგდებას) ან მოხრილი იდაყვი; მოერიდონ ხელებით თვალებზე, ცხვირზე და პირზე შეხებას; სწავლების პერიოდში უზრუნველყონ თმის შეკვრა/მჭიდროდ დამაგრება, რათა მაქსიმალურად შეიზღუდოს თმების სახის ზედაპირთან შეხება; არ გამოიყენონ სხვისი ნივთები; ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში მიმართონ ექიმს;

განისაზღვრა მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ვალდებულებები: ცხელების/რესპირატორული დაავადების შემთხვევაში არ გაუშვან მოსწავლე სკოლაში; მოსწავლე უზრუნველყონ პირბადით; სკოლაში ყოფნის პერიოდში ცხელების/რესპირატორული დაავადების სიმპტომების გამოვლენის შემთხვევაში დროულად გაიყვანონ მოსწავლე სკოლიდან და უზრუნველყონ ბავშვის მიმართვა ოჯახის/სოფლის ექიმთან, ან დაუკავშირდით 112-ს შესაბამისი სამედიცინო მომსახურების მისაღებად; სახლის პირობებში, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში, შეატყობინონ კლასის დამრიგებელს; სახლის პირობებში ცხელების ან სხვა რესპირატორული დაავადების სიმპტომების გამოვლენისას უზრუნველყონ ბავშვის მიმართვა ოჯახის/სოფლის ექიმთან, ან დაუკავშირდნენ 112-ს შესაბამისი სამედიცინო მომსახურების მისაღებად.

სასწავლო პროცესის უსაფრთხოდ მართვის უზრუნველსაყოფად სამართლებრივი აქტით განისაზღვრა სამინისტროსა და რესურსცენტრის ფუნქციები, კერძოდ, საზოგადოებრივი ჯანდაცვის რეკომენდაციის შესაბამისად, მინისტრის ბრძანებით, შესაძლებელია სკოლა გადავიდეს სრულად ელექტრონული სწავლების რეჟიმზე, ხოლო ლოკალური ინფიცირებების შემთხვევებში საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის ბრძანებით, კლასი/კლასები შეიძლება გადავიდნენ დისტანციური სწავლების რეჟიმზე და სკოლამ სასწავლო პროცესი წარმართოს ჰიბრიდული სწავლების რეჟიმით. ამ ეტაპზე ხაშურის მუნიციპალიტეტში, არცერთი სკოლა არ არის სრულად ელ.სწავლების რეჟიმზე, ხოლო ჰიბრიდული სწავლების მოდელი გამოიყენება სამ საჯარო სკოლაში.

თ. ჯავახიშვილი

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ფლევში, უახლოეს პერიოდში, ჭიდაობის სექცია ამოქმედდება

სექციის აღსაზრდელებმა - მომავალმა სპორტსმენებმა დღეს ძიუდოს ეროვნული ფედერაციისა და ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციისგან საჩუქრად ჭიდაობისთვის საჭირო ეკიპირება მიიღეს,

ხაშურის მუნიციპალიტეტმა კი სექციას ტატამი გადასცა, რომელიც ბავშვებმა იმ დღესვე თვითონ დაამონტაჟეს. გარდა ამისა, საფეხბურთო კლუბ „საბურთალოსგან“ ფლეველ ახალგაზრდებს ფეხბურთის ბურთებიც გადაეცათ.

სოფელში სტუმრად იმყოფებოდნენ და საჩუქრები პირადად ჩაიტანეს საქართველოს პარლამენტის წევრმა, ქარელისა და ხაშურის მაჟორიტარმა დეპუტატმა ზაალ დუგლაძემ, 2016-2020 წლების მოწვევის საქართველოს პარლამენტის წევრმა სიმონ ნოზაძემ, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა ზვიად ქურდაძემ, საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა გიორგი ათაბეგიშვილმა, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ ნოზაძემ, მუნიციპალიტეტის მერიის განათლების კულტურისა და სპორტის სამსახურის, სასპორტო სკოლის წარმომადგენლებმა. აღსანიშნავია, რომ ძიუდოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა სექციის მწვრთნელებს სამწვრთნელო ლიცენზიები პირადად გადასცა.

სტუმრები გაეცნენ სოფლის ახალი თაობის წარმომადგენლებს, ხაზი გაუსვეს ჯანსაღი ცხოვრების წესის მნიშვნელობას და მომავალ სპორტსმენებს სამომავლო თანადგომა აღუთქვეს.

ჭიდაობის სექცია ბინას დაიდებს სოფელ ფლევის საჯარო სკოლის დარბაზში, რომელიც ყველა თანამედროვე სტანდარტის მიხედვითაა აგებული.

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ #21,22,23,24,25,26,27,28,29 2020 წ. 2021 წ .#1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20,21,22,23,24,25,26,29)

ხაშურის ისტორიისათვის (1693-2020 წწ)

5 მარტს ხაშურთან, მინდორში მოეწყო მუშებისა და გლეხობის საერთო კრება,რომელსაც 1000-მდე კაცი ესწრებოდა. კრებამ მიიღო გადაწყვეტილება მემამულეთა მიწებით უსასყიდლოდ სარგებლობისა და მემამულეთა და სამდვდელოებისათვის დაწესებული გადასახადების შეწყვეტის სესახებ. მუშებმა წამოაყენეს პოლიტიკური ხასიათის მოთხოვნები, მათ შორის არსებული წყობილების შეცვლის მოთხოვნაც კი.

მიხაილოვო (ხაშური) 900-იანი წლების შუა ხანებში ხელისუფლების ოფიციალურ დოკუმენტებში ხშირად სახელდება გორის მაზრაში რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრად. 1905 წლის 4 აგვისტოს დუშეთისა და გორის მაზრაში გლეხთა მოძრაობის შესახებ გენერალ-ადიუტანტი თავადი ამილახვარი კავკასიის მეფისნაცვლს აცნობებდა: „მე აღმაშფოთებს კიდევ ის გარემოება, რომ როგორც გორის ისე დუშეთის მაზრებში არის ცენტრები... პროპაგანდისა, სადაც მან ღრმად გაიდგა ფესვები და საიდანაც ვრცელდება მთელს რაიონში. ასეთ ცენტრებს მიეკუთვნებიან, მაგალითად, დაბა ცხინვალი, მიხაილოვო და სურამი გორის მაზრაში და სოფლები ძალისი და ძეგვი დუშეთის მაზრაში. მრავალრიცხოვანი მკვლელობა თანამდებობის პირებისა და მთავრობის საწინააღმდეგო მანიფესტაციები იქ რჩება სრულიად დაუსჯელნი... მე ვერ ვხედავ ზემოქმედების სხვა საშუალებას ამ დასახლებათა მცხოვრებლებზე, გარდა სერიოზული ეგზეკუაციისა, რისთვისაც ჩემს განკარგულებაში მყოფი ჯარის ნაწილები აგრეთვე არაა საკმარისი.”

შემდგომშიც არაერთხელ სახელდება მიხაილოვო ქართლის რევოლუციურ ცენტრად. ამაზე მეტყველებს ბორჯომის გარნიზონის უფროსს მოხსენებითი ბარათიც. 1906 წლის 3 იანვარს იგი გორისა და დუშეთის მაზრების გენერალ-გუბერნატორს შემდეგს მოახსენებდა: „ვალდებულათ ვთვლი გაცნობოთ, რომ ახლომდებარე ცენტრებიდან მთავარი კერა იმყოფება მიხაილოვოში, რომელიც ასაზრდოებს ბორჯომის უბანსაც და აგრეთვე დირიჟორობს მთავრობის ყველა საწინააღმდეგო მოქმედებას აღნიშნულ რაიონში.”

1905 წლის 7 ოქტომბერს, რუსეთში, მოსკოვ-ყაზანის რკინიგზის მუშების გაფიცვას ფართო გამოხმაურება მოჰყვა რკინიგზაზე. 14 ოქტომბერს გაფიცვას გამოეხმაურა ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის სახელოსნოების მუშები. 15-20 ოქტომბერს გაფიცულებს შეუერთდნენ ხაშურის, სურამის, ბორჯომისა და გორის რკინიგზელები, ზოგიერთი სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეები და სხვა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამ დროს ხაშურში მუშებმა ლ. ხარატის ბინაში მოახერხეს სახელოსნოს მოწყობა, სადაც ახდენდნენ საბრძოლო იარაღის დამზადებას და შეკეთებას. შემდგომში ცნობილი გამომგონებლის ვლ. ბექაურის მიერ ამ სახელოსნოში დამზადდა ზარბაზანიც კი. ამზადებდნენ ხელყუმბარებს, სხვადასხვა სახის ცეცხლსასროლ და ცივ იარაღს. ჟანდარმერიის მიერ ცნობილი გახდა სახელოსნოს არსებობა და მოახდინა მისი განადგურება. ამ საქმის ხელმძღვანელები ვ. ძნელაძე, გ. გურჯიევი და სხვები დააპატიმრეს და გადაასახლეს.

ნოემბრის თვეში, ხაშურში, სურამსა და გომში მოეწყო დიდი მიტინგები, რომელზეც გამოსული ორატორები მუშებს და გლეხებს მოუწოდებდნენ შეიარაღებული აჯანყებისაკენ. ამავე პერიოდში იქმნებოდა მუშათა და გლეხთა საბრძოლო რაზმები, რომლებიც წითელრაზმელების სახელით არის ცნობილი. ისინი თავს ესხმოდნენ პოლიციელებს, ჯარის ნაწილებს. 10 ნოემბერს მიხაილოვოში წითელრაზმელებმა სროლა აუტეხეს ასეულს, რომელიც რკინიგზის დაცვას ემსახურებოდა.

დეკემბრის დასაწყისში მიხაილოვოში, სადგურის მახლობლად, სასაფლაოზე, ჩატარდა დიდი მიტინგი, რომელზეც სოციალ-დემოკრატები ხალხს მოუწოდებდნენ საყოველთაო შეიარაღებული აჯანყებისაკენ, მეფის ხელისუფლების დამხობისაკენ და დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარებისაკენ.

ხაშურელმა რკინიგზელებმა, 1905 წლის 10 დეკემბერს, თბილისიდან მიღებული სიგნალისთანავე შეწყვიტეს მუშაობა და მატერებლების მოძრაობა გააჩერეს. ეს იყო დეკემბრის საყოველთაო შეიარაღებული აჯანყების მხარდასაჭერი გამოძახილი ხაშურში. მათ დაიკავეს სადგური და ფოსტა-ტელეგრაფის შენობა. ხაშურის რკინიგზის კლუბში გამართულმა მუშათა მიტინგმა მხარი დაუჭირა შეიარაღებულ აჯანყებას, ცარიზმის დამხობას და დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარებას. მიტინგმა აირჩია საგაფიცვო ბიურო და მიიღო გადაწყვეტილება რკინიგზის ხელმძღვანელობის შეცვლის შესახებ. საგაფიცვო ბიუროს გარეშე, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ ი. კვალიაშვილი, პ. იგზიკოვსკი, ე. რატია, მ. მიხაილოვი, მ. ძაგნიძე, ი. ლომიძე, შ. შენგელია, ს. ზაიცევი, ს. ბაბლიძე, ი. მურმანიშვილი, არ ხდებოდა მატარებლების მიღება და გაშვება სადგურიდან. მის ხელში თავმოყრილი იყო მმართველობის მთელი სადაგეები. მან მჭიდრო კავშირი დამყარა თბილისის საგაფიცვო ბიუროსთან და მისი მითითებით მუშაობდა.

14 დეკემბერს, ხაშურის სადგურში შემოვიდა მატარებელი ბათუმიდან, რომელშიც იმყოფებოდა სამი რევოლუციონერი-მეზღვაური. მემანქანე ე.რატიამ ისინი წარუდგინა გაფიცულ მუშებს, რომლებიც მათ გულითადათ მიესალმენ, რკინიგზელთა ორკესტრმა შეასრულა მარში, მუშებმა იმღერეს „მარსელიოზა”. ამასთან დაკავშირებით სადგურ მიხაილოვოს „ვახმისტრმა“ შეადგინა რკინიგზის ჟანდარმერიის ხელმძღვანელობის სახელზე „რაპორტი“, მაგრამ მატარებლის კონდუქტორებმა მისი თბილისში წაღებაზე უარი განაცხადეს. მემანქანე ე. რატიამ „ვახმისტრს“ განუცხადა, რომ იგი მეთაურობდა არა საფოსტო, არამედ დელეგატთა მატარებელს.

გაფიცულმა მუშებმა შექმნეს სახალხო მილიცია. მოახდინეს ჟანდარმების განიარაღება და მათი ფუნქციების შესრულება წითელრაზმელებს მიანდეს. აჯანყებულებმა დაიკავეს სურამის უღელტეხილიც. რკინიგზის ბატალიონის უფროსი თავის მოხსენებით ბარათში აღნიშნავდა,რომ მთელი ხაზი თბილისიდან მიხაილოვამდე ემორჩილებოდა მუშათა რევოლუციურ ორგანიზაციებს, რომლებმაც ყველგან შეცვალეს ადგილობრივი ადმინისტრაცია.

დეკემბრის დღეებში, ხაშურში, ფართოდ ვრცელდებოდა არალეგალური ლიტერატურაც. ამ საქმეში აქტიურად იყვნენ ჩაბმული ადგილობრივი მუშები ს. კაპანაძე, ს. ნოზაძე (ფონ-ტეფო), მ. ტიტვინიძე, გრ. მოწონელიძე, ვ. ხოზბერიძე,ლ. ხოზბერიძე და სხვები. მ. ტიტვინიძეს,რომელიც ორთქმავლის მემანქანედ მუშაობდა, ხშირად გადაჰქონდა იარაღი და არალეგალური ლიტერატურა საქართველოს სხვადასხვა ადგილებში. მათ საქმიანობაში ერთგვარ დახმარებას უწევდა ხაშურის ეკლესიის მღვდელი, ი. სტალინის სიყრმის მეგობარი პ. კაპანაძე, რომელსაც იმ პერიოდში გადასახლებიდან ი. სტალინი წერდა: „პეტა! თქვენებური, ხაშურელი გადმოსახლებული შემხვდა, მას ვკითხე შენს შესახებ... და ძალიან გაქო. მიამბო თქვენს რევოლუციურ მოღვაწეობაზე... ძალიან გამეხარდა,რომ შენმა „პროფესიამ” ვერ შეგცვალა”.

დეკემბრის ბოლო რიცხვებში მეფის ხელისუფლებამ აჯანყებულებისაგან სურამის უღელტეხილის გასათავისუფლებლად ჯარის ნაწილები გააგზავნა. კავკასიის სამხედრო ოლქის სარდლის 1906 წლის 8 იანვრის ბრძანების მიხედვით, ამ დროს, საქართველოში მდგომარეობა ასეთია: მთავრობის მოხელეები გადაყენებულია, შეწყვეტილია სარკინიგზო მიმოსვლა, ყველა სადგური დაკავებულია აჯანყებულთა რაზმების მიერ. აჯანყებულებმა გაწყვიტეს ყოველგვარი კავშირი თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებს შორის, წიფის გვირაბი ჩახერგილია ორთქმავლებით.

1906 წლის 6 იანვარს, გაზეთი „ცნობის ფურცელი” იუწყებოდა: „პირველი სამხედრო მატარებელი გავიდა ტფილისიდან 3 იანვარს... სადგური ხაშური, როგორც ამბობენ, რევოლუციონერთა ხელში იყო. ჯარმა ალყა შემოარტყა სადგურს და დაიჭირა. ამ სადგურზე შეიპყრეს რამდენიმე კაცი. ჯარი შემდეგ გაემართა წიფისაკენ, სადაც რევოლუციონერებს, როგორც ამბობენ, დატყვევებული ჰყავდათ სამხედრო რაზმი. აქ ბრძოლა მომხდარა. რაზმი გაათავისუფლეს”.

როგორც იგივე გაზეთი იუწყება, 4 და 5 იანვარსაც გაიგზავნა ხაშურისაკენ „რამდენიმე მატარებელი ჯარით”.

გაზეთი „ტიფლისკი ლისტოკის” 4 იანვრის ნომერში გამოქვეყნდა წერილი, რომელშიც მოთხრობილი იყო ხაშურსა და მის რეგიონში განვითარებული მოვლენების შესახებ. თითქოს დაუჯერებელ ამბებს იუწყებოდა გაზეთი: „წიფასა და ვარვარინოს (სად. ლიხი) შუა,ტუნელთან” აჯანყებულებსა და ჯარის ნაწილებს შორის მომხდარ ბრძოლებში 100-ზე მეტი „ბუნტოვშიკი” მოჰკლესო, სადგური გრაკალი გაძარცვეს, ქარელი სულ გადაწვეს, მიხაილოვო გაანადგურეს და სხვა.

„ამ ამბების შესამოწმებლად და სიმართლის გასაგებად” გაზეთ „ცნობის ფურცელის” რედაქციამ 6 იანვარს სპეციალური კორესპონდენტი მიავლინა თბილისიდა ხაშურში. უკვე 8 იანვარს გაზეთმა „ქაქუჩელას“ ხელმოწერით, ვრცელი კორესპონდენცია გამოაქვეყნა მომხდარის შესახებ. წერილის ავტორი აღნიშნავს, რომ „...რამდენადაც შესაძლებელი იყო, მატარებლიდან ვაკვირდებოდი გარეშემო ადგილებს, გზადაგზა სადგურებიდან მატარებელში ახლად შემოსულთ ვეცნობდი, ვეკითხებოდი ყველაფერს. გავიარეთ ავჭალა, მცხეთა, ქსანი, კასპი. მოჭორებული გამოდგა ის ამბავი, ვითომ რევოლუციონერებს ტფილისიდან მცხეთამდე რკინის ლიანდაგი აედით და ავჭალისა და მცხეთის სადგურები სულ გაენადგურებინოთ. რამდენიც მივდიოდით,ვრწუნდებოდით,რომ რევოლუციონერებს არავითარი ძალმომრეობა არ ეხმარათ, პირიქით, ლიანდაგზე, როგორც გავიგეთ, სოფლელებს გაფიცვის დროს შეიარაღებული დარაჯები გამოუყვანიათ გზის დასაცავად, რომ ვინმე ხულიგანს არა გაეფუჭებინა და შემდეგ ხალხისთვის არ გადაებრალებინათ, რასაც რა თქმა უნდა, არასასურველი შედეგი მოჰყვებოდა. ავჭალაში გადმოგვცეს ყაზახთა შესახებ, ამბობენ უდანაშაულო ხალხს სცემესო”.

ავტორი ვრცლად საუბრობს რკინიგზის ახლო მდებარე სოფლებში ჯარის ნაწილების მიერ განხორციელებულ ღონისძიებებზე,იმ რეპრესიებზე, რაც მათ აქ განახორციელეს. განსაკუთრებით ჩერდება სოფ. გრაკალში დატრიალებულ მოვლენებზე. გორში ჩასულს სადგურზე უთხრეს: „... გორის შესახებ დაბეჭდილი ამბავი ტყუილია, მაგრამ ძარცვა-გლეჯვა და ჩხუბი ჩვენც არ გვაკლია „დაღამდება თუ არა, თავისუფლად ვეღარ გამოვდივართ”.

„ქარელის სადგურის გადაწვის შესახებ... ამბავი სიცრუე გამოდგა, – წერს „ქაქუჩელა”, – აქ სრული მშვიდობიანობაა. სადგურზე გაფიცვის ახსნისთანავე მუშაობა განახლებულია. ახლომახლო სოფლებშიც მშვიდობიანობაა, მხოლოდ აქა-იქ ქურდობაა გახშირებული.”

სადგურ გომში პირველი სამხედრო მატარებლის ჩამოსვლისთანავე, ჯარისკაცები მის ახლო-მახლო სოფლების ჩხრეკვას შესდგომიან. აქ დაუპატიმრებია გზის ოსტატის ჩიბატარევის შვილი. გაუჩხრეკიათ სადგურის მოვაჭრეები... ზაქარია გასიშვილის სახლში ორი თოფი უნახავთ, რის გამოც მთელი გომი გაუჩხრეკიათ. „ყაზახები სოფელ ალამდე გაჰყოლიან ჩხრეკით, – ნათქვამია წერილში, – ხმა დადის ბევრს წაართვეს ფულიო. გვითხრეს, რომ გომს ზევით ხაშურამდე ყველა სოფელი დაიარეს და გაჩხრიკესო. 31 დეკემბრამდე ამ რიგად გაუვლიათ ლიანდაგის გაყოლება სოფლებში.”

ავტორს სულ სხვა სიტუაცია დახვდა ხაშურში. „დაწვრილებით ვერ გავიგეთ, სად რა უბედურება მოხდა, – წერს იგი, – მხოლოდ რაც ჩვენი თვალით ვნახეთ, მაგალითად ხაშურში, მართლა გულშემზარავია.

ხაშურში სამხედრო მატარებელი 1 იანვარს, დილის 8-9 საათზე ჩასულა. სადგურის ჟანდარმები,რომლებიც აქამდე მიმალულნი ყოფილან,გამოსულან და ერთგვარი მეგზურობა გაუწევიათ ჯარის ნაწილებისათვის დაბაში, რის შედეგადაც „...მწარე და შავბნელი ახალი წელიწადი გაუთენდათ ხაშურლებს.”

სადგურის ზედამხედველებმა დემსკიმ, ჩიქოვანმა და სხვებმა დაწვრილებით მოუთხრეს „ცნობის ფურცელის” კორესპონდენტს ხაშურში დატრიალებული მოვლენების შესახებ.

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

(გაგრძელება. დასაწაყისი იხ. „ხმ“ #21,22,23,25)

1818 წლის კამერალური აღწერა და ხაშურის მუნიციპალიტეტი

სოფელ იტრიაში წინა აღწერით თავად სეხნია ჩხეიძის, ახლა კი მისი შვილიშვილის ყარამან ჩხეიძის კუთვნილი გლეხი

1. გოგია გონცაძე, მისი ცოლი, ქალიშვილები, ძმა მიხეილი, მათი დედა. ამ შვიდსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს სამდღიურ საბატონო მიწას, იღებს 30 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი სამი სული, ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით იღებენ სარჩოს.

თავად ივანე ქაიხოსროს ძე აბაშიძის გლეხი, რომელიც არ იყო ნაჩვენები

წინა აღწერით

1. გოგია კიკნაძე, მისი დედა. ამ ორსულიან ოჯახს აქვს სახლი. დღიური მუშაობით იღებს სარჩოს.

შენიშვნა: 1. თავად ჩხეიძეების კუთვნილი ვარგისი მიწები, რომლებშიც არ არის ნაჩვენები იტრიის ეკლესიის კუთვნილი ვარგისი ოცდღიური, მწირი- ცხრადღიური, ტყე 800დღიური, ყოველივე ამას აქვს საზღვრები, არის ერთი წისქვილი, რომელიც ეკუთვნის ყველა მცხოვრებს, მცხოვრებთა ძირითადი საქმიანობაა მიწათმოქმედება და სხვა სამუშაოები.

2. წინა აღწერით ნაჩვენები იყო ამ სოფელში მხოლოდ 4 კომლი საბატონო გლეხი, ზოგიერთი მათგანი იხდიდა სურსათს თავად ჩხეიძეების გლეხების რიცხვში, ახლა კი ჭირისაგან გარდაცვლილებისა და სხვაგან გადასახლებულების გარდა, იმყოფება 2 კომლი საბატონო გლეხი, მათგან გადასახადის გადახდა შეუძლია: თავად ყარამან ჩხეიძის 1 კომლს - ხორბალი 3 კოდი, ქერი 2 კოდი, თავად ივანე აბაშიძის 1 კომლს - ხორბალი 3 კოდი, ქერი 2 კოდი, თავად ივანე აბაშიძის 1 კომლს უქონლობის გამო გამოსაღების გადახდა არ შეუძლია.

სოფელი ურთხვა - აზნაურ დავით აბაზაძის გლეხები:

1. ბერუა ბლიაძე, მისი ცოლი, ვაჟები: გაბრიელი, სიმონი, დავითი და გრიგოლი.

ამ ექვსსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხუთდღიური სახნავი საბატონო მიწა, იღებს 50 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 6 სული. ხვნა–თესვითა დასხვა სამუშაოებით იღებს სარჩოს.

2. გლახა არსენაძე, ქვრივი, ძმისწულები: ივანე და გიორგი, მისი შვილიშვილი პავლე. ამ ოთხსულიან ოჯახს აქვს სახლი, ექვსდღიური სახნავი საბატონო მიწა. იღებს 40 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 2 სული, ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით იღებს სარჩოს.

3. ზაქარია ბითაძე, მისი ცოლი და ქალიშვილები, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმები: გაბრიელი და ნინია, მათი ცოლები, ნინიას ვაჟი ,გიორგი

ამ რვასულიან ოჯახს აქვს სახლი, რვადღიური საბატონო მიწა, იღებს 60 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 5 სული, ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით იღებს სარჩოს.

შენიშვნა 1. სოფელი გაშენებულია მდინარე სურამულაზე, წყალი საკმარისია, ვარგისი მიწა 50 დღიური, მწირი-35დღიური, ტყე 140(170?) დღიური. მთავარი აგარაკები ეკუთვნის აზნაურ აბაზაძეებს, სხვა სავარგულები არ არის, არის 1 წისქვილი, მცხოვრებთა ძირითადი საქმიანობაა ხვნა-თესვა.

ეს გლეხები ადრე სურსათს იხდიდნენ აზნაურ აბაზაძეების გლეხების რიცხვში, ახლა კი გადახდა შეუძლია სამი კომლს- ხორბალი 9 კოდი, ქერი 6 კოდი.

სოფელ ბეკამში თავად ევგენი აბაშიძის ყოფილი გლეხები, ახლა კი ეკუთვნიან თავად ივანე ქაიხოსროს ძე აბაშიძეს და ქ-ნ სალომეს

1. აზნაური გლახა ყიფიანი, მისი ცოლი, ვაჟი რევაზი, 2 ქალიშვილი, რევაზის დედა.

ამ ექვსსულიან ოჯახს აქვს სახლი, ოცდღიური საბატონო მიწა, საიდანაც ხნავს ათდღიურს, იღებს 20 კოდ პურს, ერთდღიური სავენახე ადგილი, რქოსანი პირუტყვი 15 სული, 2 ცხენი, 30 თხა, ხვნა- თესვითა და სხვა სამუშაოებით იღებს სარჩოს.

2. აზნაური პაპუა ორჯონიკიძე, მისი ცოლი, ვაჟები: გრიგოლი და ზაქარია, ძმისწული ნინია, მას ყავს და.

ამ ექვსსულიან ოჯახს აქვს სახლი, აქვს საგვარეულო მიწა 100(?) დღიური, ოცდღიურის ხვნით იღებს 240 კოდ ხორბალს, ვენახი ორდღიური სახნავი, აქედან იღებს 25 კოკა ღვინოს, პირუტყვი 16 სული, 2 ცხენი, 1 წისქვილი, საიდანაც იღებს 10 კოდ ხორბალს, ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით აქვს საკმარისი სარჩო(ციფრებში გარკვეული შეუსაბამობაა -დ.ხ.)

1. ბერუა კიკაძე, მისი ცოლი, ქალიშვილი, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმები: პეტრე,(ქვრივი), და ზურაბი, ზურაბს ყავს ცოლი და ქალიშვილი, პეტრეს ყავს ქალიშვილი, მათი ბიძა ხიზანა, მისი ცოლი, ვაჟი ილარიონი, ბიძაშვილები: სოსია, დავითი, ანდრო, გოგია და ნინია, სოსიას ცოლი, ვაჟი გიორგი, დავითის ცოლი, გოგიას ყავს ცოლი და ქალიშვილი, მას ჰყავს ვაჟი გიორგი.

ამ 22 სულიან ოჯახს აქვს სახლი, აქვს ნასყიდი ექვსდღიური მიწა, საბატონო 14 დღიური , რომლის ხვნითაც იღებს 240 კოდ პურს, დღენახევარი სახნავი ვენახი, საიდანაც იღებს 15 კოკა ღვინოს, რქოსანი პირუტყვი 16 სული, 1 ცხენი, 1 ბორბალი წისქვილი, რომელსაც მოაქვს 10 კოდი შემოსავალი, ხვნა-თესვითა და სხვა განწესებით აქვს საკმარისი წლიური სარჩო.

4. დათიკა გოგალაძე, მისი ცოლი, მასთან ერთ ოჯახში ძმები: მიხეილი, გიორგი და პეტრე, მათი ცოლები, მიხეილის ვაჟები: ანდრო, სოსია, ნინია, გიორგი და გაბრიელი, ქალიშვილი.

ამ 14სულიან ოჯახს აქვს სახლი, იღებს 160 კოდ პურს, ერთდღიური სახნავი ბაღიდან იღებს 6 კოკა ღვინოს, რქოსანი პირუტყვი 11 სული, 1 ცხენი, 3 სკა ფუტკარი, ხვნა-თესვითა დასხვა განწესებით აქვს საკმარისი ქონება.

5. პაპუნა გოგალაძე, მისი ცოლი, ვაჟები: სიმონი, თევდორე, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმა ზურაბი, ძმისშვილი ბეჟანი, მისი დედა.

ამ 7 სულიან ოჯახს აქვს სახლი, ხუთდღიური საბატონო მიწა, იღებს 40 კოდ პურს, ნახევარდღიური სახნავი ვენახიდან იღებს 5 კოკა ღვინოს, ყავს 6 სული რქოსანი პირუტყვი. ხვნა - თესვითა და სხვა სამუშაოებით იღებს სარჩოს.

6. ნინია გაბრიელაშვილი, მისი ცოლი, ვაჟები: პეტრე და გოგია, ქალიშვილი. ამ ხუთსულიან ოჯახს აქვს სახლი, ექვსდღიური საგვარეულო მიწა, სამდღიურის ხვნით იღებს 30 კოდ პურს, დღიური სახნავი ვენახიდან იღებს 10 კოკა ღვინოს, ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით იღებს სარჩოს.

7. შიო გუდაძე, მისი ცოლი, ვაჟი ივანე, მისი ცოლი.

ამ ოთხსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს სხვის სამდღიურ მიწას ღალაზე, იღებს 30 კოდ პურს, ნახევარდღიური სახნავი ბაღიდან იღებს 3 კოკა ღვინოს, რქოსანი პირუტყვი 6 სული, ხვნა-თესვით იღებს სარჩოს.

8. გოგია ლომუაშვილი, მისი ცოლი, ვაჟები: სოსია და ივანე, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმა ზაქარია, მისი ცოლი, ვაჟები: სიმონი და ანდრო

ამ რვასულიან ოჯახს აქვს სახლი, საგვარეულო ოთხდღიური მიწა, იღებს 50კოდ პურს, ნახევარდღიური ვენახიდან იღებს 3 კოკა ღვინოს, რქოსანი პირუტყვი 6 სული, ხვნა-თესვითა დასხვა სამუშაოებით იღებს სარჩოს.

9. თევდორე ღამბაშიძე, მისი ცოლი, ვაჟები: სოსია და ივანე, ქალიშვილი, მასთან ერთ ოჯახად ბიძაშვილები: გიორგი, სიმონი და სოსია, სიმონის ცოლი, ქალიშვილი, სოსიას ცოლი და ქალიშვილი.

ამ 12 სულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს ექვსდღიურ საბატონო მიწას, იღებს 60 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 6 სული. ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით იღებს სარჩოს.

10. პეტრე ბარბაქაძე, მისი ცოლი, ვაჟი გაბრიელი, ქალიშვილი, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმები: სიმონი, ლუკა და თევდორე, ლუკას ცოლი, ნინიას ცოლი და ქალიშვილი, ვაჟი იასე.

ამ 11სულიან ოჯახს აქვს სახლი, ათდღიური საგვარეულო მიწა, ხვნის შედეგად იღებს 120 კოდ პურს, ნახევარდღიური ვენახიდან იღებს 5 კოკა ღვინოს, რქოსანი პირუტყვი 10 სული, 2 სკა ფუტკარი, ხვნა-თესვითა დასხვა სამუშაოებიდან აქვთ საკმაო სარჩო.

11. გოგია მჭედლიშვილი, მისი ცოლი, ქალიშვილი, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმები: მიხეილი და მამუკა, მიხეილის ბიძაშვილი ანდრო

ამ შვიდსულიან ოჯახს აქვს სახლი, ექვსდღიური საბატონო მიწა, ხნავს სამდღიურს, იღებს 30 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 3 სული, ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით იღებს სარჩოს.

12. გიგოლა ფოცხვერაშვილი, მისი ცოლი, 2 ქალიშვილი, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმა სიმონი.

ამ ხუთსულიან ოჯახს აქვს სახლი, რქოსანი პირუტყვი 1 სული, საქონლის მწყემსობით ირჩენს თავს.

13. ბერო ლაცაბიძე, მისი ცოლი, ქალიშვილი, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმა პეტრე, მისი ცოლი.

ამ ხუთსულიან ოჯახს აქვს სახლი, ორდღიური სახნავი საბატონო მიწა, იღებს 20 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 5 სული, ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით იღებს სარჩოს.

14. პაატა ლომსაძე, მისი ცოლი, ვაჟები: ნინია და გიორგი.

ამ ოთხსულიან ოჯახს აქვს სახლი, ექვსდღიური საბატონო მიწა, ხნავს სამდღიურს, რქოსანი პირუტყვი 5 სული, ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით იღებს სარჩოს.

15. გოგილა ღონდაძე, მისი ცოლი და ქალიშვილი, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმა გლახა, ბიძაშვილები: პეტრე და სოსია

ამ შვიდსულიან ოჯახს აქვს სახლი, ექვსდღიური საბატონო მიწა, ხნავს სამდღიურს, იღებს 30 კოდ პურს, სავენახე ადგილს შემოსავალი არ მოაქვს, რქოსანი პირუტყვი 4 სული, ხვნა -თესვითა და სხვა სამუშაოებით იღებს სარჩოს.

16. იობ ბაქრაძე, მისი ცოლი, ვაჟი ნინია, ქალიშვილი, მასთან ერთ ოჯახში მისი ვაჟი ნინია, მისი ცოლი, ვაჟები: გიორგი და სოსია, ქალიშვილი, ბიძაშვილი.

ამ ათსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხუთდღიური საგვარეულო მიწა, იღებს 60 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 7 სული, 1 ცხენი, ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით აქვს სარჩო.

17. ანდრო მათიაშვილი, ქვრივი, მისი ვაჟი ნინია, ქალიშვილი, ძმისშვილი დათია.

ამ ოთხსულიან ოჯახს აქვს სახლი, საგვარეულო მიწა 12დღიური, ხნავს სამდღიურს, იღებს 30 კოდ პურს, ვენახი ერთდღიური სახნავი, საიდანაც ირებს 6 კოკა ღვინოს, რქოსანი პირუტყვი 3 სული, ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით იღებს სარჩოს.

18. იაკობ მათიაშვილი, მისი დედა. ეს ორსულიანი ოჯახი ცხოვრობს სხვის სახლში, აქვს ოთხდღიური საგვარეულო მიწა, ხნავს სამდღიურს, იღებს 30 კოდ პურს, ერთდღიური სახნავი ვენახიდან იღებს 5 კოკა ღვინოს, რქოსანი პირუტყვი 5 სული, ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით იღებს სარჩოს.

19. გიორგი ლაგვარაძე(?) მისი ცოლი, ვაჟები: პეტრე, დათია, ივანე.

ამ ოთხსულიან ოჯახს აქვს სახლი, ყავს რქოსანი პირუტყვი 2 სული, მეწისქვილეობით აქვს შემოსავალი.

20. გოგია გიქ(?)კ(?)ოშვილი, მისი ცოლი, ქალიშვილი, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმები: თევდორე და ნინია. ნინიას ცოლი, ვაჟი სოსია.

ამ ხუთსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს სამდღიურ საბატონო მიწას ,იღებს 30 კოდ ხორბალს, ყავს რქოსანი პირუტყვი 4 სული, ხვნა -თესვითა და სხვა სამუშაოებით იღებს სარჩოს.

21. პაატა კიკნაძე, მისი ცოლი, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმები: ანდრო, ოთია და მარკოზი.

ამ ხუთსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს სამდღიურ საბატონო მიწას, ღებულობს 30 კოდ ხორბალს, რქოსანი პირუტყვი 2 სული, ხვნა-თესვით იღებს სარჩოს.

თავად ივანე დავითის ძე აბაშიძის გლეხები

22. ელიოზ მათიაშვილი, მისი ცოლი, ვაჟები: სიმონი და ზაზა. სიმონს ყავს ცოლი, ვაჟები: იოსები, გრიგოლი და -------, ქალიშვილი.

ამ ცხრასულიან ოჯახს აქვს სახლი, ათდღიური საგვარეულო მიწა, ხნავს ექვსდღიურს, იღებს 60 კოდ ხორბალს, ერთდღიური სახნავი ვენახიდან იღებს 6 კოკა ღვინოს, რქოსანი პირუტყვი 1 სული, ხვნა–თესვითა და სხვა სამუშაოებით იღებს სარჩოს.

23. სიმონ ნოზაძე, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმები: დათუა და გლახა, მათ ყავთ დედა.

ამ ოთხსულიან ოჯახს აქვს სახლი, 12დღიური საგვარეულო მიწა, ხნავს სამდღიურს, იღებს 30 კოდ პურს, ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით იღებს სარჩოს.

24. პეტრე კიკნაძე, მისი ცოლი, ვაჟი ნინია, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმები: სოსია, დათუნა და გაბრიელი,

ამ ექვსსულიან ოჯახს აქვს სახლი, ათდღიური სახნავი საბატონო მიწა, ხნავს სამდღიურს, იღებს 20 კოდ ხორბალს, დღიური სახნავი ვენახიდან იღებს 3 კოკა ღვინოს, რქოსანი პირუტყვი 1 სული, 1 ცხენი, ხვნა - თესვითა და სხვა სამუშაოებით იღებს სარჩოს.

25. თამაზ გოგალაძე, მისი ცოლი, ვაჟები: სესია, ივანე, იობი და ზალიკა, 2 ქალიშვილი(მინაწერი სხვა ხელით-დ.ხ.) ამ რვასულიან ოჯახს აქვს სახლი, ექვსდღიური სახნავი საბატონო მიწა, იღებს 120(?)კოდ პურს, ერთდღიური სახნავი ვენახიდან იღებს 5 კოკა ღვინოს, რქოსანი პირუტყვი 7 სული, ხვნა-თესვით იღებს სარჩოს.

26. პეტრე ლომსაძე, მისი ცოლი, ვაჟები: სოსია, ძულია , გიორგი, 2 ქალიშვილი, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმა თამაზი, ბიძაშვილები: გიორგი, დათია, ხვთისია და ნინია, გიორგის ყავს ცოლი.

დალი ხაჩიძე

(გაგრძელება იქნება)

სურამში მოკლული ბიზნესმენის ოჯახმა სასტუმრო სრულიად ახალი კონცეფციით ააშენა - როგორ გამოიყურება ობიექტი

სურამში მოკლული ბიზნესმენის ოჯახმა სასტუმრო სრულიად ახალი კონცეფციით უკვე ააშენა. საუბარია, პროექტ „სურამი პალასზე“, რომლის მშენებელობასაც ადგილობრივები იმ მოტივით აპროტესტებდნენ, რომ მათი ინფორმაციით, ინვესტორს ტყის გაჩეხვა სურდა. ამასთან, მშენებლობის მოწინააღმდეგეები ამბობდნენ, რომ აღნიშნული ტერიტორია მეწყერსაშიში ზონაა და მშენებლობის დაწყება არ შეიძლება.

2018 წლის 29 მაისს სწორედ აღნიშული დაპირისპირება გახდა სასტუმროს ინვესტორის, ბიზნესმენი მამია ბითაძის მკვლელობის მიზეზი. მაშინ არსებული ერთ-ერთი ვერსიით, მკვლელობა სანიაღვრე სისტემის

გარშემო კონფლიქტს უკავშირდებოდა, რომლის მოწყობა მშენებლობის დაწყებამდე უნდა მომხდარიყო.

მოგვიანებით, პროექტის განხორციელების უფლება მამია ბითაძის რძალს მიეცა. თუმცა, როგორც ჯულია ანტოლოგოვა აცხადებდა, ადგილობრივების ნაწილმა საჩივრების წერა განაგრძო. მისი თქმით, სინამდვილეში საჩივრების ავტორი მოსახლეობის ის ნაწილი იყო, ვისაც საოჯახო ტიპის სასტუმროები აქვს. როგორც პროექტის ხელმძღვანელი ამბობდა, ისინი შიშობდნენ, რომ ახალი სასტუმრო დამსვენებლების

რიცხვს შეუმცირებდათ.

ჯულია ანტოლოგოვას ინფორმაციით, გასულ წელს, სამხარაულის დასკვნაზე დაყრდნობით, სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ პროექტი განხორციელებულიყო, რადგან ობიექტის მშენებლობა საფრთხის შემცველი არ იყო. თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ კოვიდპანდემიაა და ამასთან, წარსულის ამბებთან ასოციაცია აღარ ყოფილიყო, პროექტის კონცეფცია მთლიანად შეიცვალა და ახალი სახელწოდებით, რეგულაციებს მორგებული 5 კოტეჯი აშენდა.

„სასტუმრო გავხსენით 9 ივლისს. ძალიან კარგად იმუშავა ამ სეზონზე. გვქონდა სრული დატვირთვა, იმის მიუხედავად, რომ პანდემიის პირობებში ვიყავით და ბევრი შეზღუდვა, ამასთან, ნაკლები ტურისტი იყო ქვეყანაში. ამ დროისთვის, მართალია, აღარ არის ისეთი დატვირთვა, მაგრამ ყოველდღიურად გვიკავშირდებიან ჯავშნებზე. გვყავს როგორც ადგილობრივი ისე, უცხოელი ვიზიტორები. წელს ძირითადად იყვნენ, დანიიდან, ფინეთიდან, არაბეთიდან, უკრაინიდან, რუსეთიდან.

რაც შეეხება პროექტს, მთლიანად შევცვალეთ კონცეფცია. ეს პირველ რიგში პანდემიის პირობებმა გამოიწვია. გადავხედეთ ჩვენს ხედვას, ის კონკრეტული შენობა-ნაგებობა და ბევრ ადამიანის თავმოყრა აღარ იყო სასურველი. შევცვალეთ პროექტი, შევიტანეთ ახალი განაცხადი, ახალი ბიოლოგიური დასკვნით, რომელიც ისევ სამხარაულის ბიუროს მოვამზადებინეთ, რომ არ ყოფილიყო მოსახლეობასთან პრობლემები და დამატებითი კითხვები. პასუხი მივიღეთ 15 მარტს და იმ დღესვე დავიწყეთ მშენებლობა“,- აცხადებს ჯულია ანტილოგოვა.

მისი თქმით, ახალი პროექტი მოიცავს ხუთ სკანდინავიური ტიპის კოტეჯს, რომელიც ყველა საჭირო ინვენტარითაა აღჭურვილი.

„ეს არის ეკოლოგიურად სუფთა პროექტი. 5 საცხოვრებელი დიდი კოტეჯი (80 კვ.მ), რომელშიც თავსდება 5 ადამიანი. კოტეჯის კონცეფცია არის სკანდინავიური ტიპის შალე, სამკუთხედი ფორმის. 2 იზოლირებული საძინებელი, სრულიად აღჭურვილი ყველაფრით. ტერიტორია არის დახურული, სადაც 2 აუზია. ეს არის თერმო საცურაო აუზი, რომელითაც სარგებლობა შესაძლებელია ნებისმიერ ამინდში, თოვლი იქნება, წვიმა, თუ მზე. შევცვალეთ სახელწოდებაც, რადგან აღარაფერი მინდოდა მქონოდა საერთო იმ პრობლემურ პერიოდთან. დღეს უკვე გვაქვს „პარკ ჰოტელ სურამი შალე“, რომელსაც ძალიან დიდი გამოხმაურება მოჰყვა ჩვენი დამსვენებლებისგან, იმის მიუხედავად, რომ ამხელა უკმაყოფილება გვქონდა ადგილობრივებთან“, - აცხადებს ჯულია ანტილოგოვა.

პროექტის ხელმძღვანელის ინფორმაციით, სულ მალე „პარკ ჰოტელ სურამი შალეს” რესტორანი და ახალი სერვისები დაემატება. შესაბამისად, სასტუმროში დასაქმებულ 9 ადამიანს, კიდევ 8 დაემატება.

„ჩვენ დავამტკიცეთ, რომ არანაირად არ ვებრძვით არც ბუნებას და არც ადგილობრივებს. არაფერი გაგვინადგურებია და გაგვიჩეხია. პირიქით, კვების ობიექტი არ გვქონდა და მიმდებარე ობიექტებში ვუშვებდით ხალხს. გარდა ამისა, დავასაქმეთ ხალხი და მე ვთვლი, რომ რეგიონი გამოვაცოცხლეთ“,- აღნიშნავს ჯულია ანტილოგოვა.

რაც შეეხება კოტეჯში დასვენების ღირებულებას, დღე-ღამის ფასი 400-600 ლარს შეადგენს. პროექტის საინვესტიციო ღირებულება კი 1,3 მლნ აშშ დოლარია.

ნინი ქეთელაური

- ხელოვნება -

ხაშურელი ბავშვების ხელოვნება, ევროპის მასშტაბით, დიდი ასოებით მოინიშნა

ხაშურის სამუსიკო სკოლის წარმატებების შესახებ არაერთხელ აღგვინიშნავს ჩვენს გაზეთში. ეს წარმატებები თითქოს კანონზომიერებად იქცა და, ფაქტობრივად, ადგილობრივ თუ საერთაშორისო კონკურსებიდან, როგორც წესი, მუდამ, სულ მინიმუმ, ლაურეატის წოდებით ბრუნდებიან. არც ბოლო

კონკურსი - ფესტივალი ყოფილა გამონაკლისი და ლაურეატის წოდება რას მიქვიან, პირველი ადგილიც (ადგილები) მშვენივრად აიღეს და გამარჯვებაც იზეიმეს. რაოდენ სასიხარულოა, რომ ამ ბავშვებთან ერთად, უდიდეს წარმატებას ჩვენმა ფოლკლორულმა ანსამბლმა „ფრესკამაც“ მიაღწია. როგორ მოხვდნენ ერთი და იგივე ფესტივალზე მოცეკვავეები და მუსიკოსები, ამაზე ქვემოთ.

ისრაელის ქალაქი ცფატი, წელს, საერთაშორისო კონკურს-ფესტივალს მეთერთმეტედ მასპინძლობდა დიდ „ჩრდილოეთის ცისარტყელა“. ეს კონკურსი 2010 წლიდან იღებს სათავეს და მაშინდელი პირველი ლაურეატებიდან ბევრი ამჟამად ევროპაში ცნობილი მუსიკოსია. მის მასშტაბზე ისიც მეტყველებს, რომ კონკურსში ათეულობით ქვეყანა მონაწილეობს და გამონაკლისი არც წელს ყოფილა: ისრაელი, რუსეთი, გერმანია, პოლონეთი, ინგლისი, უკრაინა, საქართველო, თურქეთი, ლიტვა, დანია... ეს იმ ქვეყნების არასრული ჩამონათვალია, რომლებიც ხაშურელი ბავშვების კონკურენტები იყვნენ.

კონკურსი-ფესტივალი წელს განსხვავებული ფორმატით ჩატარდა. კოვიდ სიტუაციიდან გამომდინარე, კონკურსანტები ვიდეოჩართვებით მონაწილეობდნენ ფესტივალში. სხვადასხვა ქვეყნებიდან მოწვეული ჟიურის წევრები კი ადგილზე აფასებდნენ მონაწილეთა ხელოვნებას. „განსხვავებულობას“ ისიც დაემატა, რომ წელს, მუსიკოსებთან ერთად,

კონკურსში ფოლკლორული ანსამბლებიც ჩაერთვნენ.

სამუსიკო სკოლიდან კონკურსში ორი ნომინანტი ჩაერთო - მევიოლინეთა ანსამბლი (ხელმძღვანელი ფატი სადაღაშვილი, კონცერტმეისტერი თამაზ აბრამიძე) თხუთმეტი პატარა მუსიკოსის შემადგენლობით და საბა ხუციშვილი ინდივიდებში. საბა ჩვენი სამუსიკო სკოლის აღზრდილია და ამჟამად თბილისის



კონსერვატორიის სტუდენტი, გაცვლითი პროგრამით რიგაში იმაღლებს ოსტატობას ალტის კლასში. ტრიუმფი - სხვაგვარად ვერც შევაფასებთ ჩვენი ბავშვების გამოსვლას. ჟიურის ერთი წამითაც არ უჭოჭმანია ისე მიანიჭეს ანსამბლსაც და საბასაც პირველი ადგილები. ცალკე თემაა “ფრესკას“ გამოსვლა (ხელმძღვანელები ელიკო და გიორგი რატიანები). გია ყანჩელისა და ესპანელი მუსიკოსის ამიგოს ვიცენტის საცეკვაო მუსიკაზე („ლურჯი ზღვა“) შექმნილმა კომპოზიციამ პირდაპირ აღაფრთოვანა ჟიური და პირველი ადგილის ალტერნატივა, უბრალოდ, აღარც განხილულა.

არკადი ბარსტი (ქალაქ ცფატის მერის მოადგილე, ფესტივალის ერთ-ერთი ორგანიზატორი) – „პირდაპირ აღფრთოვანებული ვარ ქართველი ბავშვებით. ძალიან მინდა, როგორმე ვეწვიოთ ხაშურს, მინდა ვნახო ქალაქი, რომელიც ასეთ ბავშვებს ზრდის. იმედია, მომავალ წელს პანდემიას საბოლოოდ დავამარცხებთ და შესაძლებლობა გვექნება, ეს ბავშვები უშუალოდ სცენაზე ვიხილოთ. ასე, რომ უდიდესი სიამოვნებით გელით მომავალ წელს...“

ვულოცავთ სამუსიკო სკოლას ამ წარმატებას, ვულოცავთ ამ შესანიშნავ პატარა მუსიკოსებსა და მოცეკვავეებს, პედაგოგებს და, რა თქმა უნდა, ვულოცავთ ამ უნიჭიერეს ბავშვებს უდიდეს წარმატებას. იმედია, მომავალში, ისინი კიდევ ბევრჯერ მონიშნავენ ევროპის ხელოვნების რუკაზე ხაშურის სახელს.

გ. გოგოლაძე

ადგილობრივ თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილე პარტიების საყურაღებოდ!

„საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ და ასევე, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დადგენილების (2012 წლის 15 აგვისტო) შესაბამისად, 24 ოქტომბრის ჩათვლით, წინასაარჩევნო აგიტაციისა და წინასაარჩევნო რეკლამის განთავებისთვის, გაზეთში „ხაშურის მოამბე“ გამოყოფილია ფართობი. კერძოდ: ფასიანი რეკლამისათვის გაზეთის მე-4 გვერდი (988კვ.სმ), უფასო რეკლამისათვის კი გაზეთის მე-5 გვერდის ნახევარი (494კვ.სმ.).

ფასიანი რეკლამის შეთხვევაში, ერთი კვადრატული სანტიმეტრის ღირებულება შეადგენს 15 თეთრს (ერთი გვერდი - 148 ლარი).

A3 და A4 ფორმატის ჩანართის შემთხვევაში (თუ ჩანართი გამზადებული სახით მოაქვს დამკვეთს და რედაქცია მხოლოდ ქსელში გავრცელების ვალდებულებას კისრულობს) კვადრატული სანტიმეტრის ფასია 10 თეთრი, ანუ A3 ფორმატის შეთხვევაში- 98 ლარი და 80თეთრი, A4 ფორმატის შემთხვევაში - 49 ლარი და 40 თეთრი.

გაზეთის „ხაშურის მოამბე“ - რედაქცია

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.